

წიგნის მიმოხილვის უანრი მაიძულებს ზოგიერთი ხარვეზიც აღვნიშნო. ზოგჯერ ალბათ აჯობებდა, რომ მაგალითები ციფრობრივ აღნიშვნებთან ერთად (II-I და VII-I) სანოტო ტრანსკრიფციების სახითაც ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს უფრო გაადვილებდა მუსიკის აღქმას. ტექსტში ზოგ ადგილას გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომები. სასურველი იქნებოდა ეთნომუსიკისმცოდნე თინათინ ჟვანიას ნაშრომის ხსენებაც საკრავებზე და, კერძოდ, ქართულ საკრავებში არაქართული ტერმინოლოგიის არსებობაზე და მათი ახლოაღმოსავლურ კულტურებთან კავშირებზე.

წიგნში მოყვანილი ერთ-ერთი დებულება გამომდინარეობს აღმოსავლეთ ევროპაში დამკვიდრებული სამეცნიერო სტერეოტიპიდან, რომლის მიხედვითაც „წმინდა ეროვნული“ და „აუთენტური“ მხოლოდ ძველი სოფლური ტრადიცია შეიძლება იყოს და რომ ეთნოგრაფიული მასალების, სპეციალური ლიტერატურისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, თანამედროვე ყოფაში დამკვიდრებული საკრავიერი მუსიკის ტრადიციები არ არის დამახასიათებელი ქართული ყოფისათვის (გვ. 115). არა და, მოგვწონს ეს თუ არა, თანამედროვე ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიებიც ხომ ქართული ყოფის ნაწილია.

შედარებითი კონტექსტიდან ამოვარდნილია სამხრეთ კავკასიის ერები — სომხეთი და აზერბაიჯანი, მაშინ როდესაც ბევრი მოხსენიებული საკრავი (დაირა, დოლი, ისევე როგორც ფანდურის ტიპის ჩამოსაკრავი საკრავები) საქართველოს, ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ კავკასიას საზიარო აქვთ, მით უმეტეს, XIX-XX საუკუნეებში, ესე იგი, იმ პერიოდში, რომლიდანაც მომდინარეობს წიგნში მოყვანილი მრავალი ეთნოგრაფიული მასალა. მაგრამ რაკი წიგნი ეხება კონკრეტულად საქართველოს და ჩრდილოკავკასიის საკრავებს და მათ შორის არსებულ კონტაქტებს, ასეთი მოთხოვნის წაყენება არ იქნება მართებული.

წიგნი დიდ დაინტერესებას გამოიწვევს კავკასიისა და საქართველოს კულტურის მკვლევართა შორის. მისასალმებელი ფაქტია, რომ წიგნში თავმოყრილი და განხილულია ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური და ეთნოგრაფიული ლიტერატურა, რაც მდიდარ ინფორმაციას მისცემს ამ რეგიონით დაინტერესებულ მკვლევარს.

**ნინო ციციშვილი,**

მუსიკის განყოფილება/კონსერვატორია,  
მონაშის უნივერსიტეტი, მელბურნი, ავსტრალია

**ლელა პატარიძე. „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო, თბილისი, კავკასიური სახლი, 2009, 185 გვ.**

ერის პოლიტიკური და კულტურული იდენტობა ის თემაა, რომელის შესახებ კვლევების სიმრავლით ქართული საზოგადოება განებივრებული ნამდვილად არ არის. საბჭოთა პერიოდში მსგავს თემებზე აზრის გამოთქმა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური სწავლების ჩარჩოში იყო ნებადართული. რა არის ერი და რა ადულაბებს მას პოლიტიკურ-კულტურულ ერთობად, რა იდეას ეფუძნება სახელმწიფო და რა არის მისი ეროვნული ხელისუფლების ლეგიტიმურობის წყარო, რამდენად ახდენს გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები ერის იდენტობაზე და ემთხვევა თუ არა ის ერის კულტურულ საზღვრებს... ეს არის ის საკითხები, რომელთა კვლევაშიც ქართული სოციალური მეცნიერება საგრძნობლად ჩამორჩა თანამედროვე მეცნიერების ტემპს. ამ ხარვეზის შევსების პირველი სერიოზული მცდელობაა სამეცნიერო ნაშრომთა სერია — „ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები“, რომლის ფარგლებშიც გამოიკა სამი მონოგრაფია ლელა პატარიძის, ზურაბ კიკნაძისა და მარიამ ჩხარტიშვილის ავტორობით.

**ლელა პატარიძე** თავისი მონოგრაფიის ბოლოსიტყვაობაში სრულიად ცხადად განსახლდრავს ნაშრომის მიზანს — გაარღვიოს მარქსისტული სოციალური მეცნიერების ის ჩარჩოები, რომლებშიც ქართველი მეცნიერები ათეული წლების განმავლობაში იყვნენ მოქცეულნი. ავტორი განიხილავს ქართულ ჰაგიოგრაფიულ და საისტორიო ძეგლებს („ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსისი“, „ქართველ მეფეთა ცხოვრება“, „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, „არჩილის წამება“) და ადგენს კოლექტიური კულტურული იდენტობის იმ მარკერებს — ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ, რელიგიურ მიჯაჭვულობებს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს კულტურულ-ისტორიული ერთობა, ქართული *ეთნო*. ავტორის ინტერესის საგანს წარმოადგენს, თუ როგორ აღიქვამდა იდენტობის ამ მარკერებს ქართული ერთობა და როგორ ხდებოდა საზოგადოებაში მათი კულტივირება „ქართლის ცხოვრების“ ღრმად იდეოლოგიზებული და სიმბოლიზებული ტექსტის მეშვეობით.

მონოგრაფია შედგება შესავლისგან, ექვსი თავისა და ბოლოსიტყვაობისგან. ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (ოთხმოცზე მეტი ერთეული) და გეოგრაფიულ ადგილთა, ისტორიულ პიროვნებათა, ხალხთა, დინასტიათა და საგვარეულოთა, ავტორთა და ისტორიულ წყაროთა საძიებლები; ასევე — გრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი პერიოდი — ფარნავაზიდან მირიანის ცხოვრების ჩათვლით. ავტორი იკვლევს ქართლის სამეფოს წინარეჰისტორიული პერიოდის სახელმწიფო იდეოლოგიას და ასკვნის, რომ ამ პერიოდისთვის ქართველთა პოლიტიკური ლოიალობისა (ერთგულების) და ზრუნვის საგანი სამი რამ იყო: 1) ქართლოსიანთა და ფარნავაზიანთა მეფობა, ანუ დინასტიური განგრძობითობა; 2) მამათა სჯული — კერპთმსახურება და 3) ქართული ენა. მნიშვნელოვანი საკითხია, თუ ვინ, საზოგადოების რომელი ფენა არის ამ ეთნოკულტურული იდენტობის (ერთგული ვინაობის) მატარებელი. ესენი არიან „ყოველნი ქართველნი“, „მკვიდრნი ქართლისანი“, „ერისთავნი ქართლისანი“, რაც წინაფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მეომართა და თავისუფალ მიწისმოქმედთა ფენას გულისხმობს. ამ საზოგადოების ლოიალობა მირიან მეფისადმი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, სასანიანი უფლისწული იყო, სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ მირიანმა გააგრძელა ფარნავაზიან მეფეთა ტრადიციები, შეინახა მათი რჯული და შეიყვარა მათი ენა. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისიდან „მირიანის ცხოვრების“ ჩათვლით ერთიანი იდეოლოგიური კონცეფციის არსებობა ლ. პატარიძეს აფიქრებინებს, რომ მისი შექმნა და წერილობითი დაფიქსირება მირიანის ან მისი უახლოესი შთამომავლების მეფობის ხანით უნდა დათარიღდეს, რომლის დანიშნულებაც მირიანის, როგორც სასანიანი უფლისწულის, ქართლის ტახტზე ლეგიტიმაცია უნდა ყოფილიყო.

ნაშრომის მეორე თავში მკვლევარი განიხილავს „მირიანის ცხოვრებას“, როგორც მეფობის ლეგიტიმაციის დანიშნულების მქონე ტექსტს და ახდენს „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ სხვა საისტორიო თხზულებათა ანალიზს, რის შედეგადაც მიდის დასკვნამდე, რომ მირიანის სასანური წარმომავლობა ერთი ავტორის შეთხზული კი არ არის, უბრალოდ, მეფის „განდიდების“ მიზნით, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული ქართულ საისტორიო მეცნიერებაში, არამედ ეს არის ვერსია, რომელსაც ამ სამეფო შტოს წევრები კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში გარკვეული იდეოლოგიური მიზნით ამკვიდრებდნენ და რომელიც ტრადიციის სახით შემოინახა შუა საუკუნეების ქართულმა ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ. ლ. პატარიძე ნაშრომში გვერდს უვლის საკითხს, თუ რამდენად შეეფერება ისტორიულ რეალობას „ქართლის ცხოვრების“ ცნობები მირიანის სასანიანობის შესახებ, თუმცა იქვე ფრთხილად გამოთქვამს თავის აზრს: „ჩემი აზრით, შეუძლებელია ასეთი კონკრეტული და დაჟინებული მტკიცება

სრულიად უსაფუძვლო ყოფილიყო: სპარსეთის სამეფო კარის მოტყუება აბსოლუტურად გამოგონილი ზღაპრით, თანაც ისეთით, რომლებიც მათ სამეფო სახლთან უშუალოდ იყო დაკავშირებული, ვფიქრობ, ნაკლებ მოსალოდნელია. გარდა ამისა, ქართულ წყაროზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ „მირიანის ცხოვრება“ მხოლოდ იდეოლოგიური ასპექტით არ არის დაკავშირებული სასაწარმო მმართველობის დროინდელ სინამდვილესთან, მისი ავტორისათვის ცნობილია სასანიანთა სამეფო კარის სამოხელეო წყობა, იგი იყენებს შესაბამის სოციალურ ტერმინოლოგიას და ადეკვატურად ასახავს პოლიტიკურ ვითარებას“. ამავ ეთავში ეხება მკვლევარი მირიანის მეფობის ლეგიტიმურობის „ხელახალ“ განმტკიცებას (ფარნავაზიანებთან კულტურული მემკვიდრეობის პარალელურად), მეფის საკრალიზაციას ახალი რელიგიის — ქრისტიანობის კონტექსტში, რომელიც სასწაულის გზით განხორციელდა (თხოვის მთაზე ნადირობისას მეფისთვის მზის დაბნელება და კვლავ გამოჩენა).

მეფობის იდეას „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ეხება მთლიანად ნაშრომის მესამე თავი. ამჯერად მეფობის კონცეფციის განხილვა, გაქრისტიანების შემდგომდროინდელ ქართლის ისტორიული განვითარების კონტექსტში ხდება. ავტორი წარმოაჩენს იმ ცვლილებებს, რაც მეფის კონცეპტმა განიცადა მირიანის შემდგომ ეპოქაში: თუ მირიანის მეფობის ლეგიტიმურობის საფუძველი არის მისი სასაწარმო წარმომავლობა, ფარნავაზიან მეფეებთან კულტურული მემკვიდრეობითობა და მეფის საკრალიზაცია გაქრისტიანების გზით, ვახტანგ გორგასლის მეფობის ლეგიტიმაციას უკვე განსხვავებული იდეები ედება საფუძვლად: 1) ვახტანგის მეფობის არქეტაიპი და ანალოგი ბიბლიური დავითის მეფობა; 2) ვახტანგის მეფობა ბიზანტიის იმპერატორის („კეისრის“) ხელდასხმულია და, შესაბამისად, ბიზანტიური თეოკრატიის პრინციპებს ეთანხმება; 3) ვახტანგი, როგორც მირიანის შთამომავალი, სპარსთა სამეფო დინასტიის ნათესავია და, შესაბამისად, სასანიანთა იმპერიის იდეოლოგიურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს.

მეოთხე თავი ეძღვნება არჩილ მეფის დროინდელ იდეოლოგიას და მასში განხილულია კუანძურის ავტორობით ცნობილი ისტორიული თხზულების ბოლო მონაკვეთი (სტეფანოს ადარნასეს ძის და მისი ვაჟების — მირის და არჩილის ცხოვრება), რომელსაც, მკვლევართა ერთი ნაწილი ცალკე ისტორიული თხზულებიდან მომდინარედ თვლის. „არჩილის ცხოვრებისა“ და პარალელური წყაროების განხილვამ მკვლევარი მიიყვანა დასკვნამდე, რომ საქართველოში VIII საუკუნის I ნახევარში იდეოლოგიური და პოლიტიკური ძალები ასე იყო დაჯგუფებული: ერთ მხარეს იდგა სუსტი „ხოსროიანი“ ლეგიტიმური მეფე, ერისთავები (რომლებიც თავიანთი სახელოებისა და სამფლობელოების სამემკვიდრეოდ დაკანონებისათვის ზრუნავდნენ) და არაბული მმართველობა (რომელსაც ჯერ კიდევ გადამწვევტი გამარჯვება კავკასიაში არ ჰქონდა მოპოვებული და ადგილობრივ დასაყრდენს საჭიროებდა ლეგიტიმური მმართველის სახით); ხოლო მეორე მხარეს იდგა ერისმთავრების იდეოლოგია, ბიზანტიური ორიენტაცია, ბიზანტიური პოლიტიკური მხარდაჭერა და სახელმწიფო ტიტულატურა, რომელიც ბიზანტიის სახელმწიფოს პოლიტიკური თეოლოგიით უნდა ყოფილიყო გამყარებული. „არჩილის ცხოვრების“ განხილვის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ეს თხზულება მოვლენათა თანამედროვის მიერ არის აღწერილი და ავთენტური წყაროა, თუმცა ის ძლიერ იდეოლოგიზებული ნარატივია და ამიტომაც ისტორიულ სიმართლეს ძალზე სპეციფიკური სახით წარმოაჩენს.

მონოგრაფიის მეხუთე თავის — „ტერიტორიული და კულტურული იდენტობები გაქრისტიანების კონტექსტში“ — მიზანია, გამოარკვიოს ქართლის სამეფოს ტერიტორიის გამოსახვის პრინციპი „ქართლის ცხოვრებაში“, ამ თხზულების სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოდელი. „ქართლის ცხოვრებაში“ სახლგარი ქართლისა — ეს არის საკუთრივ ქართული სახელმწიფოს ტერიტორია, სადაც ქართველთა

მეფის (თუნდაც სასაანური წარმომავლობის) სუვერენული უფლებები ვრცელდება. საკუთრივ ქართლის საზღვრებშია წარმოდგენილი 8 საერისთავო და სასპასპეტო, რომელიც პირველითგანვე ფარნავაზის შექმნილად არის გამოცხადებული. საერისთავოთა ჩამონათვალი თავისი საზღვრებით ფაქტობრივად არის ქართლის სამეფოს ლეგიტიმური ტერიტორიის პოლიტიკური მოდელი. ამ ტერიტორიას და მისი მფლობელი ეთნიკურ ეთნო-კულტურულ იდენტობას შორის არა უბრალოდ მჭიდრო კავშირია, არამედ არსებითად ტერიტორიული და ეთნიკური იდენტობა თანხვედნილია. „ქართლის ცხოვრების“ დამოკიდებულება ტერიტორიის მიმართ მოწმობს, რომ ეს არის „შიდა მოხმარების“ ისტორია. მისი მიზანი არ არის გარე სამეაროს აღწერა, სხვადასხვა ხალხებისა თუ ქვეყნების შემეცნება. აქ მთავარია სამფლობელო, მისი საზღვრები, როგორც ის არეალი, სადაც სახელმწიფოს უხუნაესი ხელისუფლება ვრცელდება და სადაც ადგილობრივი არისტოკრატიული ეთნიკური თავის სოციალურ და კულტურულ იდენტობას ახორციელებს.

ბოლო მეექვსე თავში განხილულია „ქართლის ცხოვრების“ შესავალი და მისი ტერიტორიული კონცეფცია. ლ. პატარიძეს თხზულების შესავალი და საკუთრივ მეფეთა ისტორია განსხვავებულ კონცეფციათა და იდეოლოგიათა მატარებელ მონაკვეთებად მიაჩნია. „ქართლის ცხოვრება“ დასაწყისიდან „ფარნავაზის ცხოვრებამდე“, ანუ შესავალი, ფუნქციურად და შინაარსობრივად არის „მეფეთა ცხოვრების“ ანუ საკუთრივ ქართლის სამეფოს ისტორიის „პრეისტორიული“ და ეთნოგეოგრაფიულ სურათი, რომელიც შუა საუკუნეების ავტორ-რედაქტორმა თავისი დროის ლიტერატურულ-ჟანრული და მსოფლმხედველობრივი მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგარა მეფეთა ისტორიის წერილობით ტრადიციას. აღნიშნული მონაკვეთის დეტალურმა შესწავლამ მკვლევარი მიიყვანა მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ შესავალი „მეფეთა ცხოვრების“ ტრადიციას ეფუძნება და არა პირიქით: „შესავლის ავტორის მსოფლმხედვის კონცეპტუალური გავლენა არ ჩანს „მეფეთა ცხოვრებაში.“ მაშინ, როდესაც „მეფეთა ცხოვრება“ შესავლის ავტორისთვის ამოსავალი ტექსტია. ამიტომ შესავალი მეორეულია „მეფეთა ცხოვრებასთან“ მიმართებაში“. თავში ცალკ-ცალკე, დაწვრილებით არის განხილული შესავალში მოთხრობილი ყველა ამბავი: ამბავი რვათა ძმათა — თარგამოსის ძეთა კავაკასიაში განსახლების სქემა; თარგამოსიანთა ბრძოლა ნე-ბროთის წინააღმდეგ; ქართლოსის ძეთა განსახლება და მათი გეოგრაფია; „ხაზართა შემოსვლა“; „შემოსვლა სპარსთა“; სხვადასხვა „ოტებული“ ხალხების შემოკრება ქართლში; „შემოსვლა ალექსანდრესი“. მკვლევარი ნათლად წარმოაჩენს, რომ შესავლის ავტორის გეოგრაფიულ აღწერილობათა ლოგიკა განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ მატანიისული აღწერის სტილისაგან. აქ უკვე არა მემატანიის ინტერესი და ამოცანა ჩანს, არამედ ისტორიკოსისა. თუ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი მემატანიეა, შესავლის ავტორი ისტორიკოსია; მას თანამედროვე ამბების ჩაწერა და დამახსოვრება კი არა აქვს განზრახული, არამედ — წარსულის რეკონსტრუქცია. ის მუშაობს წყაროებზე, ადარებს, აანალიზებს მათ და შესაფერის კონცეფციას ქმნის.

აი, ასეთია მოკლედ ლელა პატარიძის წიგნის შინაარსი. მიუხედავად მისი მეცნიერული სიღრმისა, იგი იკითხება ადვილად და დიდი ინტერესით; ვფიქრობ, ავტორმა, თავისი მონოგრაფიით, ქართველი ერის იდენტობის თვალსაზრისით „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში ყამირი გაკვალა და, საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ლ. პატარიძის წიგნი საქართველოში სოციალური მეცნიერების სფეროში ბოლო პერიოდში დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია, რომელსაც ამ სფეროში მოღვაწე ვერც ერთი მკვლევარი მომავალში გვერდს ვერ აუვლის.

**ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი,**  
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი